მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №34

2022 წლის 11 აპრილი

ქ. მარტვილი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში

შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე–2 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52–ე მუხლის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით დადგენილი ღირებულების შესაბამისად დანართის სახით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა